ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 20 დეკემბრის სხდომის

ოქმი №9

სხდომას ესწრებოდა: სიით შემადგენლობის 34 წევრიდან - 32

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის არჩევა
   მომხს:თ.დოლბაია
2. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის #116/2018 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე
   მომხს:თ.დოლბაია
3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

მოისმინეს: 1) ვინაიდან ფაკულტეტის დეკანი თამარ დოლბაია იყო დეკანობის კანდიდატი და არ ჰქონდა უფლება სხდომის თავმჯდომარეობისა, მან დასვა საკითხი სხდომის თავმჯდომარის არჩევის აუცილებლობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, თ. მატარაძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს 20 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ხათუნა მაისაშვილი

მოისმინეს: 2) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახემწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის #116/2018 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

დაადგინეს: დამტკიცდეს „სსპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის #116/2018 დადგენილებაში წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები" და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

ასევე შესაბამისი ცვლილებები შევიდეს ფაკულტეტის დებულებაში.

მოისმინეს: 3) ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ხ.მაისაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ-ის აკადემიური საბჭო #111/2014 დადგენილებით დამტკიცებული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები, რომელიც ასევე განხილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი 6)

დადგენილი საარჩევნო პროცედურების შესაბამისად სხდომაზე არჩეული იქნა საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. სალომე დუნდუა- კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
2. ნანული ტალახძე- კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი
3. ალექსანდრე გაბაშვილი, კომისიის წევრი სტუდენტი

საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა თსუ-ის აკადემიური საბჭოს 111/2014 დადგენილებით დამტკიცებული საარჩევნო პროცედურების შესაბამისად.

შედგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც დაფიქსირდა შემდეგი:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით - 34

2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით - 32
3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 32

4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა - 1

5. კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა:
   1) თამარ დოლბაია - 31

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია (შემაჯამებელი ოქმი თან ერთვის)

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარე: ხ. მაისაშვილი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. ბაბილიშვილი

20 ივლისი, 2018 წ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე

20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. მარიამ ბერიანიძე
27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. გიორგი გოგოლაძე
29. ნინო გოლიაძე
30. თორნიკე კობახიძე
31. შალვა ლაშხია
32. ანი სარალიძე
33. რატი ხითარაძე
34. ელენე ბებერაშვილი

N 26144/10 18/12/2018

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
თამარ დოლბაიას

ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად წარმოგიდგენთ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ შემუშავებულ პროექტს - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ.

დანართი - 8 გვერდი.

ქეთევან ხუციშვილი

საბჭოს თავმჯდომარე
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო

დანართი № 2

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ---------- (თარიღი) №------ გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი № -----) შექმნილი ---------- ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „----------“ დოქტორანტ ---------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის

ოქმი № -------

თარიღი, ჩატარების ადგილი.

1. **სხდომაზე დამსწრე საზოგადოება** (სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, შემფასებლებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების *(გვარი, სახელი; დაწესებულება, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა)* მითითება).

2. **დღის წესრიგის ფორმულირება** (---------- ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „----------“ დოქტორანტ --------- *(სახელი, გვარი)* სადისერტაციო ნაშრომის *(დასახელება)* დაცვა);

3. **კენჭისყრის ჩატარება** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ *(მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).*

4. **სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება** დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ *(მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).*;

5. **ინფორმაცია დოქტორანტის შესახებ** *(რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი, წარადგენს კომისიის მდივანი).*

6. **დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 30 წუთი; დოქტორანტის სიტყვა ერთვის ოქმს).*

7. **პირველი რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს)*;

8. **დოქტორანტის პასუხი პირველი რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);*

9. **მეორე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს*);

10. **დოქტორანტის პასუხი მეორე რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია*

აღიწეროს ოქმში);

11. **მესამე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია)** *(რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);*

12. **დოქტორანტის პასუხი მესამე შემფასებლის რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);*

13. **სამეცნიერო დისკუსია** (*თითოეული გამომსვლელის რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი; დოქტორანტის პასუხი - არაუმეტეს 5 წუთი; სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლების და დოქტორანტის კითხვა-პასუხები აღიწეროს ოქმში*).

14. **სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სიტყვა** *(ოქმს ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი).*

15. **დოქტორანტის სიტყვა** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი).*

16. **სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურა** *(სადისერტაციო ნაშრომის შეფასება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე; დისერტაციის შეფასების საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადება).*

ოქმს ხელმოწერით ადასტურებს - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.

პროექტი

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო:

ა) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რომლითაც განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი, აგრეთვე დისერტაციის დაცვის პროცედურა;

ბ) ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;

გ) ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეს;

დ) ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებას თითოეული სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შექმნის თაობაზე;

ე) იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომზე აკადემიური ეთიკის დარღვევის არსებობის შემთხვევაში მინიჭებული აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების თაობაზე (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება, პლაგიატი ან სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა და სხვ.);

ვ) განიხილავს დოქტორანტის/დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის საჩივარს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურული ვადების დარღვევის თაობაზე და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ზ) ამტკიცებს დისერტაციის დაცვის განსხვავებულ რეგლამენტს იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ

კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტისა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი;
თ) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას, რომელსაც შეიმუშავებს ფაკულტეტი;
ი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, სემესტრში, სულ მცირე, ოთხჯერ მაინც.“

ბ) მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში სხდომის მოწვევა შესაძლებლია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების, სულ მცირე, 1/3-ის მოთხოვნით.“

გ) მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.“

დ) მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო იხილავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დადებით გადაწყვეტილებას (შეფასებას), უფლებამოსილია დაამტკიცოს იგი და შესაბამის პირს მიანიჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან უარი თქვას დამტკიცებაზე და მოტივირებული გადაწყვეტილებით დაუბრუნოს საკითხი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას დამატებითი განხილვისათვის.“

ე) ამოღებულ იქნეს დებულების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ვ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია
1. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორებისაგან ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის წარმომადგენელი/სპეციალობის მქონე პირი

საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი, დისერტაციის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის გადაცემიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობა სადისერტაციო ნაშრომს.

5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 7 წევრისაგან."

ზ) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას:

ა) აწარმოებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმს;

ბ) ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

გ) ხელმძღვანელობს კომისიის საქმისწარმოებას;

დ) უზრუნველყოფს დაცვის კომისიის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის მიწოდებას ფაკულტეტისათვის."

თ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები."

ი) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად გადაეცემა შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში

(სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი; დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია; დოქტორანტის განაცხადი; დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში; სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; ცნობა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე; გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია; სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის; რეცენზენტების დასკვნები (რეცენზიები); სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმი).

კ) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი ამ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცების თაობაზე, უნდა ინახებოდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.“

ლ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PhD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას) ამტკიცებს მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში და ანიჭებს დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს.

3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც და თუ დისერტაციის დაცვას ხმა მისცა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ სხდომას ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის ერთი წევრი მაინც.

4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წევრი. საბჭოს სხდომაზე იმართება მსჯელობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (თითოეული დისერტაციის მიმართ) ხმის მიცემა უნდა იყოს ღია.

5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ვალდებულია თავისი წერილობითი დასაბუთება წარმოადგინოს გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარი

მაინც და ხმა მისცა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა.

6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურის ამსახველი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია, ინახება შესაბამის ფაკულტეტზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.“

მ) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. დისერტაციის გამოქვეყნება

ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას; ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.“

ნ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, რომელსაც უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.“

2. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში და დაემატოს 1^1 პუნქტი:

„1^1 . დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმის ფორმა (დანართი № 2)“.

3. დაევალოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს ფაკულტეტის დებულების და დოქტორანტურის დებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების წარმოდგენა არაუგვიანეს 15 თებერვლისა.

4. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სადისერტაციო ნაშრომისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციის წარდგენა დოქტორანტის მიერ შესაბამის ფაკულტეტზე განხორციელდეს წინამდებარე დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

5. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

7. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

20 დეკემბერი, 2018

დღის წესრიგი:

1) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა
2) ხმის დათვლის შედეგები

მოისმინეს: 1. საარჩევნო კომისიის წევრებმა იმსჯელეს თავმჯდომარისა და მდივნის კანდიდატურების შესახებ

დაადგინეს: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა, ხოლო საარჩევნო კომისიის მდივნად - ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე

მოისმინეს: 2. ხმის დათვლის შედეგები:

საარჩევნო კომისიამ, ფაკულტეტის საბჭოს წევრთა თანდასწრებით, გახსნა დალუქული საარჩევნო ყუთი, ამოიღო საარჩევნო ბიულეტენები და შეუდგა ხმის დათვლის პროცედურას, რომლის შედეგებიც მოცემულია ქვემოთ:

№		რაოდენობა
1	ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით	34
2	კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით	32

3	საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა	32
4	ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	1
5	გამოუყენებელი ბიულეტენები	2

კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა

№	გვარი სახელი	აკადემიური თანამდებობა	მიღებულ ხმათა რაოდენობა
1	თამარ დოლბაია	ასოცირებული პროფესორი	31

დაადგინეს: ფაკულტეტის დეკანის არჩევნების შედეგად, ხმათა სიითი უმრავლესობით, 31 ხმით, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე არჩეული იქნა ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: სალომე დუნდუა

საარჩევნო კომისიის მდივანი: ნანული ტალახაძე

საარჩევნო კომისიის წევრი: ალექსანდრე გაბაშვილი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

ფაკულტეტის საბჭოს წევრ ამომრჩეველთა სია

20 დეკემბერი, 2018 წ.

№	გვარი სახელი	პირადი ნომერი	ხელმოწერა
1	აბაშიძე ზვიად	01001018466	
2	აბაშიძე ზურაბ	01008001424	
3	ასანიშვილი ფიქრია	01002011450	
4	ბერძენიშვილი ამირან	01019018019	
5	ბელქანია ნოდარ	01017000897	
6	ბერიანიძე მარიამ	45001035940	
7	ბებერაშვილი ელენე	01024083443	
8	გაბაშვილი ალექსანდრე	01027075662	
9	გოგსაძე გიორგი	01017002747	
10	გოგოლიძე გიორგი	01605048937	
11	გოლიაძე ნინო	61004068531	
12	დავითაშვილი ზურაბ	01008001671	
13	დოლბაია თამარ	01024004605	
14	დუნდუა სალომე	01030011904	
15	დურგლიშვილი ნინო	13001002257	
16	თურმანიძე თორნიკე	01008003753	
17	კაჭკაჭიშვილი იაგო	35001002273	
18	კობახიძე თორნიკე	01011084445	
19	კუხიანიძე ალექსანდრე	01022001605	
20	ლაშხია შალვა	42001036406	
21	ლორთქიფანიძე ვაჟა	01018001969	

22	მახარაძე თამარ	01024003857	
23	მაცაბერიძე მალხაზ	01008013355	
24	მატარაძე თეონა	01010010261	
25	მაისაშვილი ხათუნა	01017011298	
26	მელიქიძე ვალერიან	01018000510	
27	პავლიაშვილი ნინო	01001004646	
28	სარალიძე ანი	01008055367	
29	ტალახაძე ნანა	01030017221	
30	შამილიშვილი მანანა	61002003447	
31	წერეთელი მარი	01017008126	
32	ჭალაგანიძე ნინო	01024004740	
33	ხითარიძე რატი	01011097582	
34	ჯორბენაძე რევაზ	01008018417	